



ყვარლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამები

(2022 წლის 1 ივნისის მდგომარეობით)

წინამდებარე გზამკვლევაში ასახულია მუნიციპალური პროგრამები, რომელთა შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის, ისე სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის

პროგრამების სარჩევი

1. საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამები.....	3
1.1. დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დაფინანსების პროგრამა	3
2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები.....	3
2.1. სოციალურად დაუცველი ოჯახების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება.....	3
2.2. 18 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის, 7 წლამდე ასაკის ბავშვთა ადრეული განვითარების შეფერხების და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის თანადაფინანსება.	4
2.3. ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნეების) დაავადების მქონე პაციენტების დაფინანსება.....	4
2.4. მოქალაქეთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების (მათ შორის, ონკოლოგიურიც) თანადაფინანსების პროგრამა	4
2.5. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	5
2.6. ეპილევსიით და ცერებრალური დამბლით დაავადებულთა დახმარების პროგრამა .	5
2.7. იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე პათოლოგიის (ჰემოფილია, ცელიაკია, ფენილკეტონურია) მქონე პირების დახმარების პროგრამა.....	6
3. სოციალური დახმარების პროგრამები	6
3.1. ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობი საშუალების დაფინანსების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	6
3.2. ელექტროენერჯის გადასახადის თანადაფინანსების ქვეპროგრამა	7
3.3. სარიტუალო მომსახურების დახმარების ქვეპროგრამა.....	7
3.4. მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება.....	8
4. დემოგრაფიული პროგრამები.....	9
4.1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	9
4.2. ახალშობილ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამა	9
4.3. 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით დაფინანსების ქვეპროგრამა	10
5. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის საკონტაქტო ინფორმაცია.....	11

1. საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამები

1.1. დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დაფინანსების პროგრამა

სამიზნე ჯგუფები:

- ა) ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით და სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი;
- ბ) უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს;
- გ) მარტოხელა მშობლები, შშმ პირთა ოჯახები;
- დ) 18-21 წლის ახალგაზრდები, რომლებიც გასულნი არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

დაფინანსების ოდენობა:

- 50-130 ლარი.

დახმარების მისაღებად საჭირო სარეიტინგო ქულა შეადგენს 150 000-ს. დაფინანსება შესაძლებელია გაიცეს 17 ბენეფიციარზე.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) ცნობა ხანძრის, მიწისძვრის, ბუნებრივი კატასტროფის, სხვა განსაკუთრებული შემთხვევისა და სიცოცხლისთვის საშიში ავარიული სახლის შესაბამისი სამსახურიდან;
- გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ;
- ე) შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

2.1. სოციალურად დაუცველი ოჯახების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

სამიზნე ჯგუფი:

- სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 160 000-მდე.

დაფინანსების ოდენობა:

- დახმარების ოდენობა 500 ლარამდე ღირებულების სამედიცინო სერვისის შემთხვევაში შეადგენს 50%-ს;

- 500-1000 ლარამდე - 30%-ს.
- 1000 ლარიდან ზევით მოქალაქეს აუნაზღაურდება 20%, არაუმეტეს 500 ლარისა.

2.2. 18 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის, 7 წლამდე ასაკის ბავშვთა ადრეული განვითარების შეფერხების და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის თანადაფინანსება.

სამიზნე ჯგუფი:

- 18 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის, 7 წლამდე ასაკის ბავშვთა ადრეული განვითარების შეფერხების და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები

დაფინანსების ოდენობა:

- ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 700 ლარს.

2.3. ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნეების) დაავადების მქონე პაციენტების დაფინანსება

სამიზნე ჯგუფი:

- ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნეების) დაავადების მქონე პაციენტები

დაფინანსების ოდენობა:

- ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 800 ლარს.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) პაციენტის ან განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;
- დ) ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული მიმართვა (კერძო სადაზღვევო კომპანია) დაფინანსების შესახებ.

2.4. მოქალაქეთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების (მათ შორის, ონკოლოგიურიც) თანადაფინანსების პროგრამა

სამიზნე ჯგუფი:

- პროგრამის მოსარგებლეები არიან მძიმე დაავადების მქონე პაციენტები.

დაფინანსების ოდენობა:

- ა) ონკოლოგიური პაციენტებისთვის დაფინანსების ბიუჯეტი შეადგენს 300 ლარს;
- ბ) მძიმე დაავადების მქონეთათვის - 150 ლარს.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) ფორმა 100;
- გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი.

2.5. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა

სამიზნე ჯგუფი:

- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტებ

დაფინანსების ოდენობა:

- დაფინანსების მიღება შეუძლიათ ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება (მოსარგებლის, ოჯახის წევრის);
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) ფორმა 100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- დ) საბანკო ანგარიშის ნომერი;

2.6. ეპილექსიით და ცერებრალური დამბლით დაავადებულთა დახმარების პროგრამა

სამიზნე ჯგუფი:

- ეპილექსიით და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები

დაფინანსების ოდენობა:

- წლიურად 400 ლარის ოდენობით.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება (მოსარგებლის ან ოჯახის წევრის);

- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) ფორმა 100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- დ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

2.7 იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე პათოლოგიის (ჰემოფილია, ცელიაკია, ფენილკეტონურია) მქონე პირების დახმარების პროგრამა

სამიზნე ჯგუფი:

- იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე პათოლოგიის (ჰემოფილია, ცელიაკია, ფენილკეტონურიით) დაავადებული პირები

დაფინანსების ოდენობა:

- წლიურად 600 ლარის ოდენობით.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება (მოსარგებლის ან ოჯახის წევრის);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) ფორმა 100 ჯანმრთელობის შესახებ;
- დ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

3. სოციალური დახმარების პროგრამები

3.1. ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობი საშუალების დაფინანსების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

სამიზნე ჯგუფები:

- მარტოხელა პენსიონერი,
- მარტოხელა დედა,
- მრავალშვილიანი ოჯახი,
- ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ პირი.

დახმარების ოდენობა:

- დახმარება გაიცემა მიმართვის საფუძველზე და მისი ოდენობაა 120 ლარი.

დახმარების მისაღებად საჭირო სარეიტინგო ქულა შეადგენს 120 000-ს.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;

- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;
- დ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

3.2. ელექტროენერჯის გადასახადის თანადაფინანსების ქვეპროგრამა

სამიზნე ჯგუფები:

- ა) იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ყვარლის მუნიციპალიტეტში;
- ბ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ერთი და მეტი შვილი;
- გ) მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის შშმ ვეტერანები.

დაფინანსების ოდენობა:

- ყოველთვიურად შეადგენს 10 ლარს

დახმარება და გაიცემა მიმართვის საფუძველზე.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) ელექტროენერჯის ქვითარი;

3.3. სარიტუალო მომსახურების დახმარების ქვეპროგრამა

სამიზნე ჯგუფები:

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის (სამაჩაბლო-აფხაზეთი) მებრძოლ მიცვალებულთა ოჯახები
- უპატრონო მიცვალებულები

დახმარების ოდენობა:

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის (სამაჩაბლო-აფხაზეთი) მებრძოლ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მიზნით, გარდაცვლილის ოჯახზე გაიცემა ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით,

- უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მიზნით, გაიცემა ფინანსური დახმარება 200 ლარის ოდენობით.

წარსადგენი დოკუმენტები:

1. ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში დაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
 - ა) განცხადება;
 - ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი;
 - დ) გარდაცვალების მოწმობა;
 - ე) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში დაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
 - ა) განცხადება;
 - ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი;
 - დ) გარდაცვალების მოწმობა;
 - ე) უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში განცხადების წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს, გარდაცვალების ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3.4. მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება

სამიზნე ჯგუფი (ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლია):

- უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს (დახმარების მისაღებად საჭირო სარეიტინგო ქულა შეადგენს 130 000-ს);
- ონკოლოგიური პაციენტს;
- რეინტეგრირებული ოჯახებს,
- ხანდაზმულ მოქალაქეებს (95 წლის ზევით).

დახმარების ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

- უკიდურესად გაჭირვებული ოჯახისთვის დახმარება შეადგენს 100 ლარს.
- ონკოლოგიურ პაციენტზე დახმარება გაიცემა წელიწადში ორჯერ 100 ლარის ოდენობით;
- რეინტეგრირებულ ოჯახებზე დახმარების ოდენობაა 400 ლარი;
- ხანდაზმულ მოქალაქეებზე (95 წლის ზევით) – 200 ლარი.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;
- დ) ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის ნომერი;
- ე) ონკოლოგიური პაციენტის შემთხვევაში: ფორმა 100, საზღვარგარეთ არსებული კლინიკიდან სამედიცინო კვლევის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

4. დემოგრაფიული პროგრამები

4.1 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა

სამიზნე ჯგუფი:

- მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და აქედან სამი მაინც არასრულწლოვანია.

დახმარების ოდენობა:

სადღესასწაულო დღეებში წელიწადში სამჯერ გადაეცემათ ფულადი საჩუქარი შვილთა რაოდენობის მიხედვით:

- 4 შვილზე – 100 ლარი,
- 5 შვილზე – 150
- ყოველ მომდევნო შვილზე - 50 ლარის დამატებით.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) ერთ-ერთი მშობლის განცხადება;
- ბ) მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
- გ) საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
- დ) ყველა ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი.

4.2 ახალშობილ ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამა

სამიზნე ჯგუფი:

- ახალშობილ ბავშვთა ოჯახები

დახმარების ოდენობა:

- პირველ ბავშვზე - 200 ლარი,

- მეორე ბავშვზე - 250 ლარი,
- ორი ტყუპის დაბადების შემთხვევაში – 450 ლარი.

ახალშობილის ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები უნდა იყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) მშობლის განცხადება;
- ბ) ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;
- გ) მარტოხელა მშობლის შემთხვევაში სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

4.3.1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელფასური კვების პროდუქტებით დაფინანსების ქვეპროგრამა

სამიზნე ჯგუფი:

- ოჯახები, რომელთაც ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვი.

დახმარების ოდენობა:

- დაფინანსების ოდენობა ყოველთვიურად არის 120 ლარი.

დახმარების მისაღებად საჭირო სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000-ს.


ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა კვების თანადაფინანსება სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე განისაზღვროს ყოველთვიურად. დახმარება გაიცემა მიმართვის საფუძველზე.


წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- გ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) ბავშვის ოჯახის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან რეგისტრაციის ამონაწერი, სადაც შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 70 000 სარეიტინგო ქულა;
- ვ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

5. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის საკონტაქტო ინფორმაცია

მუნიციპალურ პროგრამებსა და მათში მონაწილეობის შესაძლებლობებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ყვარლის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალურ სავითხოვო სამსახურს:

 მისამართი: საქართველო. 4800. ყვარელი. კუდიგორის ქ. N1, ყვარელი

 ცხელი ხაზი: (0 352) 22 12 01

@ ელ. ფოსტა: kvareli_regioni@yahoo.com

ვებ-გვერდი: www.kvareli.gov.ge